ცნობა

მიხეილ გიორგაძე დაიბადა 1967 წლის 25 აპრილს, ქ. თბილისში;

1984-1991 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე;

1991 წელს გაიარა ევროპული მენეჯმენტის პროგრამა ქ. ბრიუსელში;

1992-1993 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის დეპარტამენტის სახელმწიფო მრჩეველი;

1993-1994 წლებში მუშაობდა საგარეო ეკონომიკური საკითხების კომიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დეპარტამენტის უფროსად;

1994-1997 წლებში მუშაობა განაგრძო არასამთავრობო ორგანიზაცია – „მსოფლიო ლაბორატორიის" პროექტების მენეჯერად;

2001 წელს მუშაობდა ლონდონში ბი-ფი-არ პროდაქშენს პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტის" კონსულტანტად;

2003-2005 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი;

1998 წლიდან არის „ისთენ პრომოუშენსის" გენერალური მენეჯერი;

2005 წლიდან 2014 წლამდე იყო თბილისის საკონცერტო დარბაზის დირექტორთა საბჭოს წევრი;

2014 წლის 23 ივლისიდან 2017 წლის 15 დეკემბრამდე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

2017 წლის 15 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.